# ეშმაკის მათრახი

ფასი 10 მ.

№ 22

1920 წ.

აპრილის 18

## უმაღლესი პოლიტიკა.

ბათუმს უმზერს უმწვერვალეს პოლიტიკაში გართული.
ამბობს: „ნეტა ეს ქალაქი რათ უნდა იყოს ქართული?
აგენტები ბლომადა მყავს, მი სკორო ბუდემ უ ცელი!“
ერთი ბაქოსაც დახედოს თუ არ დაუშლის მუცელი!

# დენიკინელი

დენიკინელი! იცით რაა დენიკინელი? მე სხვა ამგვარი არ მინახავს ქვეყნად არსება. რუსეთში იგი კომუნისტის სისხლით ქეიფობს, საქართველოში მყის კომუნისტს დაემსგავსება.

როდესაც მირბის ჩვენი ქვეყნის საზღვრებისკენ, ბალშევიკების შიშით ლაჩრულ კუდ ნაძუები, ჩვენზე ლოკულობს ხელ აპყრობილ მუხლ მოდრეკილი, გულწრფელი ცრემლის თითქო დასდის მთელი რუები.

მაგრამ როდესაც შინ შემოვა, მზეზე გათბება, გულს დაიმშვიდებს შეშინებულს და გამხდალებულს, ის ბალშევიკის ქეჩხოსა და ქურქში ეხვეევა და ჩვენ სამტეროდ შრომას იწყებს აქ გაცხარებულს.

დენიკინელი!... იცით კარგათ მისი ბუნება? თქვენ იცით რაა ჭეშმარიტი დენიკინელი? როცა ჩვენს მკერდზე გამთბარს ღონე დაიბრუნება, მყისვე შხამიან კბილს გაგვიყრის ცბიერი გველი.

ოჰ, გინდა მომკალ, დენიკინელს ვერ დავენდობი, ის, როგორც მარტი მოლალატე, ცვალებადია, ის მუდამ სხვისი სისხლითა და ნამუსით ვაჭრობს, მას სხვა ღირსება უკეთესი არ აბადია.

**მორიელი.**

---

# რკინის გზის ფურცელი № 3.

(ყოველკვირეული გამოცემა რკინის გზის მთავარ მოხელეთა გასართობათ).

## კატარა ფელეტონი.

**პირველი აპრილი.**

როდესაც რევიზორმა ქურდევანიძემ სადგურ ბათუმის ბაქანზე თავისი (?) ვაგონიდან დიდძალი სანოვაგე გადმოალაგა, სწორეთ პირველი აპრილი იყო.

ჩხიკვაძე და ძიძიგური, როგორც დაგეშილი მეძებრები, დაეცენ ბ-ნ ქურდევანიძეს და დაიჭირეს.

— თქვენი გვარი? სასტიკათ ჰკითხეს დამჭერებმა.

— გორდეზიანი. დინჯათ მიუგო ბ-ნმა ქურდევანიძემ.

— ეგ სანოვაგე ვისია?

— ვისი უნდა იყოს, რასაკვირველია ინგლისის მინისტრის ლოიდ ჯორჯის.

— მოწმობა გაქვთ?

— ინგლისელს მოწმობა რათ უნდა. სად გაგონილა ინგლისელმა მოწმობა აიღოს?

— ჩვენ ინგლისელს კი არა ვთხოვთ მოწმობას, არამედ თქვენ.

და დაიწყო გამოძიება.

რამოდენიმე საათის შემდეგ გამოირკვა, რომ ბ-ნი გორდეზიანი სრულიადაც არ იყო გორდეზიანი, არამედ ნამდვილი ქურდევანიძე, ხოლო მის მიერ ჩაპარებული სანოვაგე ეკუთვნოდა მას და არა პატივცემულ ლოიდ ჯორჯს, რომელსაც იმ დილით სანოვაგე კონსტანტინეპოლში შეეძინა.

— რისთვის გამოიცვალეთ გვარი ბ-ნო რევიზორო? შეეკითხენ ბ-ნ ქურდევანიძეს.

— მოგატყუეთ.

— ვიცით რომ მოგვატყუეთ, მაგრამ ჩვენც ამას გეკითხებით, რისთვის მოგვატყუეთ.

— როგორ თუ რისთვის?

— ჰო, რისთვის.

— რისთვის და დღეს პირველი აპრილია.

— სანოვაგე რისთვის გამოაპარეთ საიდუმლოთ?

— სწორეთ იმავე მიზნით. მინდოდა საბაჟოს მოსამსახურეები მომეტყუებია.

მიუხედავათ ამ სამართლიანი მიზეზებისა ბ-ნ ქურდევანიძეს, როგორც ჩვენ გვატყობინებენ, დიდი უსიამოვნება მიაყენეს.

**კონტრაბანტისტი.**

## ახალი მინისტრი.

(სიზმარის მაგიერი).

ბ-ნი ამბროსი ჭიპაშვილი, რომელიც რკინის გზის მთავარ სამმართველოში მსახურებს, ერთობ შორსმჭვრეტელი და წინდახედული კაცია.

როცა სამსახურიდან დაბრუნებული, ტრამვაის ვაგონს მოახტა, გულდასმით მიიხედ-მოიხედა და რაკი ნაცნობი ვერავინ დაინახა დამშვიდებით ჩამოჯდა სკამზე.

— უკაცრავად, თქვენ საით მიბრძანდებით? თავაზიანად ჰკითხა ამბროსიმ თავის მეზობელს.

— რუსთაველის ქუჩაზე, ბატონო ჩემო.

— მსახურობთ ალბათ იქ?

— დიახ რედაქციაში ვმსახურობ. თქვენ რკინის გზაში უნდა მსახურებდეთ? არა? იკითხა მეზობელმა.

— დიახ მთავარ სამმართველოში.

— რა ამბავია ახალი თქვენში?

— ბევრი არაფერი. ამბობენ ზოგიერთა მოსალოდნელ ცვლილებათა შესახებ.

— მოსამსახურეები ალბათ თქვენთანაც ისევე ზარმაცობენ, როგორც სხვა უწყებებში?

— რა მოგახსენოთ... არიან ზარმაცებიც, ბეჯითებიც... თქვენ ამბროსი ჭიპაშვილს იცნობთ?

— არა, არ გამიგონია... რა მოხელეა?

— როგორ თუ რა მოხელე, ცნობილი ინჟინერია.

— წარმოიდგინეთ, არც გამიგონია. დარცხვენით მიუგო მეზობელმა.

— ბევრი კეთილსინდისიერი, სამშობლოს მოყვარული და მცოდნე ადამიანი მანახავს, მაგრამ ასეთს ჯერ არავის შევყრივარ.

— სასიამოვნოა, ძლიერ სასიამოვნო.

— საინჟენერო აკადემია ჯერ გერმანიაში აქვს გათავებული, შემდეგ საფრანგეთში, მერმე ინგლისში და დაბოლოს ამერიკაში. ომს რომ არ მოესწრო, იაპონიაშიაც აპირებდი ხარბინის უნივერსიტეტის გათავებას.

— მერმე რა თანამდებობას ასრულებს ახლა ამ უკაცობის დროს?

— ჯერ ჯერობით მცირე ადგილი უჭირავს. არ არის სხვებსავით მეტიჩარა, არც დიდ ადგილზე ოცნებობა უყვარს.

— მაინც საჭიროა, ადამიანს ღირსების შესაფერი დაფასებაც მიეცეს.

— არ ვიცი, რამდენათ მართალია, მაგრამ გუშინ გავიგე რომ გზათა მინისტრათ აპირებენ მის დანიშვნას. თუ ეს გამართლდა, ჭეშმარიტათ ღირსეული კაცის ხელში ჩავარდება ჩვენი რკინის გზების საქმე.

— ფრიად სასიამოვნო ამბავი მითხარი. რა გვარია ის ყმაწვილი?

— ნუ თუ მართლა არ გაგიგონიათ... ამბროსი ჭიპაშვილი, მთელი ქალაქი იცნობს.

ოცნობმა მეზობელმა გარკვევით ჩაიწერა გახუნებულ წიგნაკში ბ-ნი ჭიპაშვილის გვარი და ყველაფერი, რაც მის შესახებ მოისმინა.

მეორე დღეს გაზეთ „ბრძოლაში“ მსხვილი ასოებით ეწერა:

**„ახალი მინისტრი.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ რომ მთავრობის შემადგენლობაში მოსალოდნელია ძირითადი ცვლილებები. გზათა მინისტრის ნოე გ. ხომერიკის ნაცვლად უწყების გამგეთ ინიშნება იაპონიაში კურს დამთავრებული ახალგაზრდა ცნობილი ინჟენერი ამბროსი ჭიპაშვილი“.

რკინის გზის მთავარ სამართველოში ამ ამბავმა დიდი სენსაცია, სიცილი და აურ-ზაური გამოიწვია. ყველანი ერთხმათ ამტკიცებენ: ვიღაც ეშმაკმა იხუმრა ეს ამბროსი ჭიპაშვილზეო.

ხმა ღვთისა და ხმა ერისა ყოველთვის არ მართლდება.

**ტყემალი.**

რედაქტორი **კვერთხაძე.**

---

# ვირი

იგავს გეტყვით საგანგებოს...
ერთ ვირს,
ვირად სანაქებოს,
(არ გავამხელ აქ მის სახელს
ერევნელს, თუ
ყარაბაღელს,)
ცხვირწინ ჰქონდა დაფენილი
საძოვარი ეზო რბილი,
რა იონჯა,
ოა სამყური
ემოსა მას უცნაური ..
რარიგ ნორჩი კოინდარი
იდგა აბრეშუმის დარი...
ძნელათ იტყვის
კაცის ენა,
საზრდო იდგა იმოდენა.
ეზო მწვანეთ ბიბინებდა,
ვირი ხტოდა,
ხვიხვინებდა,
სჭამდა რასაც კი ინებდა.
და გასუქდა ის მუტრუკი,
ნორჩ მდღელოზე ნაბუნდრუკი.
ერთხელ, იმა სახედარმა,
ვირთა შორის
ბრძენთა დარმა,
მწვანით გული რა იჯერა,
რა გაივსო, გაიბერა,
ძირს სიუხვით დანამთვრალი
ხის კენწეროს მისცა თვალი.
იქ კი, მაღლა
კენწეროზე,
თვალ აუწვდენ ხის წვეროზე,
კოკრებს გული გაეშალა
და ჰყვაოდა წითელ თვალა.
მისის ეშხით
დადაგული
აუტოკდა მუტრუკს გული
მას მოუნდა თაიგული...
ალბათ მკერდზე დასაბნევათ....
და ამ მიზნის მისაღწევად
ხეზე ასვლას გაეპირა
ეგ დიდყურა
და ქვიქვირა.
მე კი აქაც იმ აზრს ვიცავ
(თქვენ თავსა და მზესა ვფიცავ!)
რომ ვირს
რაგინდ სანაქებოს
რაოდენიც არ ენებოს,
ხეზე ასვლა გაუპირდეს
და ვირობს,
ვინც გაუპირდეს.
ჩვენ ვირს სადღაც წაეკითხა,
(სისწორე კი არ ეკითხა)
რომ ვირები, ინდოელნი
ხეზე ხტიან
ვით ფრინველნი.
მათ ეს საქმე სულ არ უჭირთ,

## საზავო კონფერენცია.



რა ყოფილა გაზაფხულის ულმობელი მზეო,
უცნაურად იმოქმედა „მაღალ სეიმზეო“!
თუ არც გუშინ სწამდათ მისი კანონად ნებაო,
დღეს ხომ ყველას უხარია: რა ჩქარა დნებაო!

---

ხეზე ასვლა
ჩირად ღირთ.
ვირი ამით ნათამამი
არ დაფიქრდა არცა წამი,
ხეს ეცა თავ განწირულად
და შეახტა მას...
ვირულად.
დახეთ ბედსა.... ხათაბალა!
ძირს დაეცა ყირამალა.
თაიგული ხეთ ვერ იგდო....
მაგრამ...
თეძო ამოიგდო!
ამ იგავის აზრი მთელი
აქ არ არის გასამხელი.
ვიტყვი მხოლოდ
ნაწილს მცირეს:
ეყოს ვირებს, რაც ივირეს.

ცხვირ წინ განძს ვინც
ვერა ნახავს,
ვარსკვლავთ კრეფას კი იზრახავს,
თქვენ იმედი გქონდეთ სრული
შეემთხვევა
ვირს ვირული.

ეშმაკი.

---

## შექანჯალებულის ლექსები.

იწი, ბიწი, იწი, ბიწი!
ფქვილის ღომი და ხავიწი,
ფეხზე მესტი ვერ ჩავიცვი...
რაექნა, სირცხვილით დავიწვი,
აღდგომა ვერ მოგილოცეთ,

# ნაცემართა თავშესაფარი.

ძველათ ამბობდენ, ყველა გზა რომში მიდისო. ეხლა ეს ანდაზა უნდა შეიცვალოს, რადგან დღეს ყველა გზა საქართველოში მოდის.

---

კვერცხით ხელში, ვერ გაკოცეთ
რავქნა ძმებო, რა არ ვქენი,
ფული, კვერცხის შესაძენი
ვერ ვიშოვნე, ვერა, ვერა,
მაპატიებთ, ვიცი, მჯერა,
მე მილოცვას ასე გვიანს,
(არ შეფერის ეს კაცს ჰკვიანს
დარბაზობა, ახალკვირას)
ქნარს ავიღებ, გავკრავ წკირას,
ეხლა კვერცხიც შევიძინე:
(დღე-და ღამე არ ვიძინე,
ვედარბაზე ყველგან ქათმებს,
ინდაურებს, იხვებს, ბატებს,
ყველას ნისკარტზე ვაკოცე,
თითო კვერცხი ავაცოცე),
ეხლა მსურს ჩამოგირბინოთ,
ბინიანებს და უბინოთ,
გინახულებთ თითო-თითოდ,
ამხანაგებს „სავიზიტოდ“
და თუ პასქას, „საციეს“ მაჭმევთ,
და თუ ცოტა რამეს მასმევთ,
თუ მომიჭრით შემწვარ კრავსა,
ცოტა კბილის გასაკრავსა,
და გექნებათ მასთან გოჭიც,
წამეშლება შუბლს ნაოჭიც,
გულის ჟანგიც გამიქრება,
როგორც დილით ვარსკლავთ კრება.
დაგვიანდა, მაშ, დავიწყო,
გოდორში კვერცხი ჩავიწყო
და გეახლოთ მხიარული,
შენაქანჯალ გადაკრული,
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი,
კვერცხს უხდება ლალის ფერი,!..
აბა დელი, დელი, დელი,
მიყვარს კვერცხი მე წითელი...
აბა, ტაში, ჩქარი, ჩქარი!!.
აღსდგა ქრისტე მაცხოვარი,
და მეც იმიტომ ვიჩქარი,

მოგილოცოთ მსურს სულ ყველას,
პეტრეს, ვანოს, ესიკელას,
პაღასის და ჯაჯიკელას,
დაგიკოცნოთ ყურის ძირი...-
თუმც მიჯდება ძლიერ ძვირი,
თითო კვერცხს ყველას გიბოძებთ,
ცხვირის წვერზე თუ მაკოცებთ.
მაშ, დავიწყებთ! ჯერ გოდორი,
კვერცხით სავსე და თავ სწორი
ზურგზე უნდა მოვიკიდო,
მილოცვის დროს კვერცხი თითო
ამოვაძრო, მივსცე ყველას...
პასქა გადაუგდე მელას,
და მომძახის დელი დელას...

I.

ბატის დიდ კვერცხს ხელში ვიპყრობ,
უწინარეს ყოვლის (ვფიქრობ)
საქართველოს მოულოცო,
მოვეხვიო და ვაკოცო,
უთხრა... „დედა, ქრისტე აღსდგა“!
ჩვენი მტრები ზე ვერ ადგა,
მათ საფლავი გაეთხაროს,
ჩვენმა ხალხმა კი იხაროს,
დღეს რომ გული დაგიჩაგრეს,
იგი წყლული მალე გაქრეს,
ბათომი კვლავ დაგვიბრუნდეს,
მტრებს იმედი გაუმტყუნდეს.

II.

**აზერბეიჯანს.**

ღმერთმანი, არ მშურს გაკოცო,
მაგრამ, შენ რა მოგილოცო?
შენ აღდგომა ქრისტეს არ გწამს,
შენი ხალხი გოჭსაც არ სჭამს?
აბა, რავქნა, ძმავ, მაშადი,
გამოვაცხვე ტორტათ მჭადი,
მოვალ შენთან მხოლოდ ამით:
ქიშმიშ-ლაბლაბ-შაქარლამით...
საფრთხილო გვაქვს დრო და ჟამი
ფხიზლად ვიყოთ, სჯობს იცოდე,
მეზობლებს ხელი უწოდე
სამოყვროთ და სამეგობროთ
თორემ სამტროდ, სამეკობროდ
გაწვდილ ხელებს იცნობს ყველა,
და გეწვევა ხათაბელა...
შუღლი, მტრობა, და ქიშპობა,
სჯობს, რაც ადრე მოისპობა;
შეხე, წითელი დათვები!..
ლამის გადმოლახონ მთები,
ყველა ჩვენსკენ იცქირება,
დროზე სჯობს ძალის მოკრება,
მტერიც მაშინ გაგეყრება
თუ გსურს მოყვრის დამოყვრება...

გამომართვი ეს კვერცხია,
ცითელი ჭისფერი სცხია...

III.

**სომხეთს.**

ახპარ! ძმებო, მოგილოცავთ,
მაგრამ, ეს სთქვით, რაზე ხოცავთ
ძმები ერთ-ურთს ასე მტრულად?
სჯობს, რომ იყოთ მეგობრულად.
ყარაბახი... ზანგეზური...
სწ-დ-ბა ხალხი უბედური...
დროზე შესწყდეს ქიშპი, შუღლი,
დაჩოქილ ხალხს სტკივა მუხლი,
უნდა ზეზე წამოდგომა,
მშვიდი ყოფნა მშვიდი შრომა...
ახპერ! მოდი მეგობრულად
შემოვძახოთ მეზობლურად,
ცრემლი ვღვაროთ ერთს ტაფაში,
და ვატიროთ მტერნი ჩვენი...
ეს კვერცხი კი მიიძღვენი,
თუ გინდ ახლავე გაფცქვენი
სჭამე, გამოსწოვე წვენი...
ცოტა, მეც კი მომიფცქვენი...

IV.

**დენიკინლებს.**

დილი, დილო, დილი, დილო,
სუ! არსად არ გამამხილო,
საქმე ვქენი სასაცილო!
ლაყე კვერცხი, ბატის, ფრთხილად,
დენიკინლებს ნაზად, ტკბილად,
მიულოცე და უთხარი,
ვიცი, ბრატცი, ცუდი არი
იმედების გამტყუნება,
და თქვენც არ გეგემტყუნება,
ლაფდასხმული დაბრუნება,
საქართველოში „соваться“,
ჩემთან Христосоваться
აბა ბრატცი, Христосъ Воскресъ
ყველგან პანღური ამოგკრეს.

V.

**მუშა-მოსამსახურეთ.**

ახლა, მსურს, თქვენ მოგილოცოთ,
ცხვირის კუშტულზე გაკოცოთ,
აჭარა და რაჭა, ონი,
და მიტომ ხართ, დანაღონი,
მაგიერში, რაციონი
პურის, ბრინჯის და შაქრისა,
გაგვიდიდეს, რა გველირსა,
ჩავიტკბარუნებთ სულ პირსა,
ძირს ბონები! პური მაღლა,
მუშებმა ხმა აღიმაღლა.

**შექანჯ ლებული.**

# ქუთაისი.

სამედიცინო ნაწილის მხრივ ქ. ქუთაისი განსაკუთრებულ კარგ პირობებშია. ყველა ქუჩაზე სცხვრობს არა ერთი და ორი ექიმი. ზოგიერთი მათგანი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს ხალხს ჰირი შეუმაუბუქოს.

რომ ხალხს ბონები შემოენახოს და ამით მომავლისთვის თანხა შეუგროვდეს ეს ექიმები პირდაპირ ნატურალურ სასყიდელზე გადავიდენ. იღებენ_გოჭებს, კვერცხებს, ქათმებს, ბატებს და წარმოიდიგნეთ ინდოურებსაც.

ათი-ხუთმეტი ამგვარი კლიენტის მიღების შემდეგ ექიმის სახლი საუცხოვო ზოოლოგიურ ბაღს წარმოადგენს ხოლმე.

## „კონტრრევოლუციონერი“.

გუშინდელი კონტრრევოლუციონერები. ამ ტომის ხალხი ამ ჟამად აღარ არის რუსეთში. უმრავლესობა დახვრიტეს, ხოლო დანარჩენები საქართველოში შემოიხიზნენ

## დუ-ბ ე შ ი.

აივანზე ვისხედით.
ირგვლივ ცაცხვი ჰყვაოდა.
ხშირ ხეებში გარშემო
არსად სჩანდა სხვა ოდა.
კამათელს ვაგორებდით.
ნარდი გვედო შუაში.
გაზაფხული მეფობდა
გულში, სისხლში, ჭკუაში.
მე მოგიკალ ორი ქვა.
სახლში ყველა კარები
კოხტათ მქონდა შეკრული
გარდა ბეშის კარისა.
შენ წარმოსთქვი: „რა მინდა:
დუბეში თუ ჩარები!..
ღია კარი სად არის:
ფანჯისა თუ ჩარისა?“
კამათელი აიღე,
ხელში შეათამაშე
და სთქვი: „ახა, გენაცვა,
კამათელო, დუბეში!“
შემდეგ გადმოიხარე,
გააგორე და მაშინ...
მაშინ... უცებ... ჩავხედე
შენს გაღეღილ უბეში...
და შიგ... და შიგ... ოჰ, ღმერთო!..
ოჰ, წმინდაო სამებავ!..
და შიგ თვალი მოვჰკარი
ორ სასწაულს, ორ რასმე...
მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა
ის საამო წამება...
იმ ერთ წუთში ორას წელს
გავსწირავდი, ორასს მე!..
„მე მხოლოდ ვსჰვრეტ—ვფიქრობდი—
ამ უცნაურ პატარებს...
შორიდან ვსჰვრეტ და ვკვდები...
და გული მიყუჩნდება...

# კონტრრევოლუციონერები.

გუშინ ესენი რევოლუციონერებად ითვლებოდენ, დღეს კი კონტრრევოლუციონერებათ არიან გამოცხადებულნი. უკეთუ ამათაც ისე გაუმკლავდენ, როგორც გუშინდელ კონტრრევოლუციონერებს, ხვალ საბჭოთა რუსეთში აღარც ერთი მცხოვრები აღარ იქნება.

---

ის კი, თითონ პატრონი,
სულ თავისთან ატარებს...
როგორ უძლებს, არ მესმის,
ცეცხლი რომ არ უჩნდება!“...
და გეტყოდი ჩემ გულში:
„როგორ ნუ გავჰკვირდები?
კამათელი წყვილია...
ჩვენც წყვილნი ვართ, მე და შენ!..
ქვებიც წყვილად მოგიკალ...
წყვილად გაქვს ის კვირტები...
—აქ რაღაც ამბავია,
თუ მრწამს წმინდა ზედაშე!“...
ამ დროს იგრძენ, შეჰშფოთდი,
ათრთოლებულ ხელებით
დაიფარე გულ-მკერდი
და თვალები მესროლე...
აგარიდე მე თვალი
უხერხულ ჩახველებით:
ვერ ვატარე ბოლომდე
თავხედი ქურდის როლი.
—„ერთი ბეში მოგსვლიათ...
გააცოცხლებთ ერთ ქვასა!“—
ყრუთ გაისმა ჩემი ხმა,
როგორც აკალდამაში.
შენ კი, მილეულის ხმით,
თითქოს არც კი გეთქვასო,
მ პასუხე მიბნედით:
—აღარ მინდა თამაში!

**თაგუნა.**

# როგორ გავხდი ორატორი.

## ანუ

## ჩემი ცოლის როლი ჩემი გაორატორების საქმეში.

„გლახა ცოლისა ყოლასა
სჯობს კარგი ცოლის ყოლაო."
ს. ზურგიელიძე.

I.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს მეუღლეს თაობიდანვე ძალიან მოსწონდა საზოგადო მოღვაწეები, ხოლო საზოგადო მოღვაწეთა შორის ყველაზე წინ ის ორატორებს აყენებდა.

რევოლიუციის შემდეგ ჩემი ცოლის ასეთი შეხედულება, კიდევ უფრო გაღრმავდა: ორატორობამ მის თვალში სხვა ყველაფერი დაჩრდილა და დაბნელა.

ეს ცვლილება მას ჩემთან დამოკიდებულებაშიაც აშკარათ დაეტყო. უწინ თუ იშვიათათ იტყოდა: „რა კარგია ორატორობაო!"—გადატრიალებისა და, განსაკუთრებით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღე ისე არ გავიდოდა, რომ გესლიანათ არ ეთქვა ჩემთვის: „რა ცოდვამ ჩაგიგდო ეგ ენა მუცელში!? რა ვიჭირს კრებებზე შენც ილაპარაკო? მუნჯი ხომ არა ხარო?!"

მე ხან რას ვუპასუხებდი და ხან რას, მაგრამ კითხვა ყოველთვის ხუმრობის სფეროში გადამქონდა და ამ რიგათ დასაწყისშივე ვსპობდი მოსალოდნელ უსიამოვნებას.

2.

ერთ დღეს ჩვენი ქალაქის მოედანზე დიდი მიტინგი გაიმართა. მომენტის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა თფილისადან საგანგებოთ ჩამოსულმა პირმა. გამოვიდენ ადგილობრივი ორატორებიც, სულ ოცდახუთმეტმა კაცმა ილაპარაკა. ჩემი ცოლი ყველას გულ-დასმით უსმენდა და მხიარულ ტაშით აჯილდოვებდა.

როდესაც ორატორების სია ამოიწურა, მან თავი ჩემსკენ მოიბრუნა და მუდარით ჩამომილაპარაკა.

— ა, კაცო, შენც გადი და სთქვი რამე!

— მეხუმრები? ღიმილით შევეკითხე მე.

— სრულებითაც არა! სერიოზულათ გეუბნები.

მე გამეცინა.

ის გაბრაზდა. „სახლში მობრძანდი, და იქ გაგცემ საკადრის პასუხსო"! მომახალა მუქარით და შინისაკენ მოჰკურცხლა.

აშკარა იყო, რომ მან გადასწყვიტა ჩემს წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის დაწყება და სტრატეგიული მოსაზრებით ბრძოლის ხაზი ქალაქის მოედნიდან საკუთარ ბინაზე გადაიტანა.

უნდა გამოვტყდე, რომ მე მშვიდობიანობის მოყვარული ადამიანი ვარ. ომისა და ზავის საკითხში თამამათ შეიძლება ვილსონის თანამოაზრეთ ჩავითვალო, ჩვენ ორთავეს საშინლათ გვეჯავრება ყოველ-გვარი ბრძოლა და დავი-დარაბა. ომი ჩვენ უბედურებათ მიგვაჩნია, ზავი კი ბედნიერებათ. ამიტომ ომის თავიდან ასაცილებლათ არც მე და არც ვილსონი არ ვერიდებით არავითარ მსხვერპლს, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, მსხვერპლის გაღების საკითხში ჩვენ შორის პატარა პრინციპიალური ხასიათის განსხვავებაც არსებობს: მაშინ, როცა ვილსონი მხოლოდ სხვისგან მოითხოვს სამშვიდობო მსხვერპლის შეწირვას, მე უსასტიკესი მტრის სასარგებლოდაც შემიძლია ასეთი მსხვერპლის გაღება. ეს მე აშკარათ დავამტკიცე ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე, როცა ერთ-ერთ საზოგადო კრებაზე ხმა მივეცი ესერების ორატორს, რომელიც, ამტკიცებდა რა, თუ რა დიდი უპირატესობა აქვს მშვიდობიანობას ომიანობასთან შედარებით, მოითხოვდა ბათუმის დაუყონებლივ გადაცემას ოსმალთათვის...

ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე ჩემი ცოლის მიერ გადადგმული ნაბიჯი.

3.

ნაშუაღამევის პირველი საათი იქნებოდა, როცა მე სახლში მივედი და საწოლი ოთახის კარებთან ფეხ-აკრეფით მივიპარე. მართალი გითხრათ, იმედი სავსებით გადაწყვეტილი არ მქონია. ინციდენტის შემდეგ საგრძნობმა დრომ განვლო, და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩემი ცოლი, სავსებით თუ არა, შედარებით მაინც დამშვიდდებოდა, და მისი შემოტევა ისე მკაცრი და შეუბრალებელი აღარ იქნებოდა, როგორც ეს მაშინ, იმ ცხელ გულზე იყო მოსალოდნელი. მეც ამ მოსაზრებით დავიგვიანე; მაგრამ ის ფაქტი, რომ საწოლი ოთახის კარები დაკეტილი დამხვდა, ნათლათ მოწმობდა ჩემი ტაქტიკის დამარცხებას...

ფრთხილათ და მორიდებით მივაკაკუნე კარებზე.

— ვინა ხარ? მომესმა ჩემი ცოლის ნამძინარევი ხმა.

— მე ვარ, ჩემო.. ეგ კარები რათ ჩაგიკეტია, გენაცვალე?

— შენ ენაცვალე შენს ეშმაკს!

— გააღე ეგ კარები.. საშინლათ ცივა,—გავიყინე.

— სულიც გაგვარდნია!

— მე არ მესმ-ს ასეთი ხუმრობა!. მალე ორი საათი შესრულდება. უნდა დავიძინო, თუ არა?.

— რაც გსურს, ის ქენი ოთახში კი არ შემოგიშვებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემი არ გეყურება.

— ქალო, ნუ თუ არ იცი, რომ ყველაფერს თა-

ვარლამ ჩერქეზიშვილი. აკაკი ჩხენკელი.

ვისი შნო და უნარი უნდა? ვინ მე და ვინ ორატორი?!

სადა მაქვს საორატორო ნიჭი? ხმაც ხომ წვრილი და დაბალი მაქვს! ნუ თუ შენ არ იცი ეს? ამისათვის რათ მიმწარებ სიცოცხლეს? რათ მაყურყუტებ ამ ცივ ოთახში?!

— ნიჭიც შეგწევს და უნარიც; ხმაც ძალიან კარგი გაქვს და ლაპარაკიც მშვენივრათ შეგიძლია!. ჯინაზე არ გინდა ჩემი გასახარელი საქმე გაკეთო, მარა, თუ ქალი ვარ, ძვირათ დაგიჯენ ჩემს ასე აბუჩათ აგდებას!

— ორატორობა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. სხვარამ მთხოვე და ნახე, თუ რა ვქნა... აი მაგალითათ, პოეტობას უფრო ადვილათ შევიძლებ. ჩემს ყმაწვილობაში კიდეც დამიწერია რამოდენიმე ლექსი...

— პოეტობა! დიდი რამე კია პოეტობა! ძველი, დრო მოჭმული ხელობაა.

— მაშ, კომპოზიტორობას დავიწყებ! საპატიო დარგიც არის და მოდაშიაც ეხლა შემოდის.

— არ მინდა!

— ეხ, რომ იცოდე, რა კარგი რეჟისორი ვიქნებოდი.. ფრთაილათ შევაპარე მე პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— არა გაქვს რეჟისორისათვის საჭირო ცოდნა და მომზადება თუ! დაცინვით გამომეხმაურა ის.

— სამაგიეროთ მე სხვისთვის ხელის შეშლა არ მიყვარს, და ჩემს გულს შურის გრძნობა არ ეკარება.. შენ ეგ სახუმარო საქმე არ გეგონოს, ჩემო კარგო. ეგ თვისებებია, რაც არის, თორემ, მარტო ცოდნით თუ საქმის გაკეთება შეიძლებოდეს, ჩვენი რეჟისორები ამდენ ხანს ააყვავებდენ ჩვენს სცენას.

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს;

— დაგანებო კი, მაგრამ... ეგებ, ბოში, ჩემმა მთავრბაში შესვლამ დაგაკმაყოფილოს, მივმართე მე მას ახალი წინადადებით, ძნელი საქმეა, მაგრამ..

— თავი დამანებე მეთქი! დაიყვირა მან, რაც ძალი და ღონე ქონდა, და სიტყვა შუაზედ გამაწყვეტინა.

მუდარითა და ტკბილი სიტყვით რომ ვერაფერს გავხდი, ხმა ავიმაღლე და ისე დავუწყე ლაპარაკი.

— სრულებითაც არ მეშინია შენი მუქარის, მტკიცე და იმედიანი კილოთი სთქვა მან. ძველი დრო არ გეგონოს ეხლა! მამაკაცების ბატონობის ეპოქა სამუდამოთ გაქრა. ყველაფერს საზღვარი აქვს, და ქალების ტანჯვა წვალებასაც ბოლო მოეღო. ცოლი და ქმარი დღეს უკვე თანასწორ-უფლებიანი მოქალაქენი არიან,

— კაი დაგემართოს, მაგრამ ეგ როგორი თანასწორობაა: შენ მაქ, საზიარო ლოგინში, წევხარ თფილათ, და მე კი აქ ვიყინები ამ შუა-გულ ზამთარში?!.

ცხადია, ამ შეკითხვაზედაც თავისებურ პასუხს გამცემდა ჩემი ცოლი, მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა, რამაც საქმის მდგომარეობა არსებითათ შესცვალა, და ბრძოლის სასწორი მოულოდნელათ ჩემსკენ გადმოხარა: ხმაურობაზე გამოეღვიძა ჩვენს პატარა ბავშვს და ტირილი მორთო.

— არიქა, მამილო, მიშველე რამე და მე მკითხე შენი პატივისცემა, მივამახე მე მას.

— მამა! დაიღრიალა ბავშვმა ჩემი ხმის გაგონებაზე და ტირილს უმატა.

— აბა, გენაცვალე, აბა, მამილო, ვაგულიანებდი მე ყმაწვილს.

ისიც თავ-გამოდებით ყვიროდა და, მიუხადავათ დედამისის ცდისა, რომ ის როგორმე დაემშვიდებინა, კათეგორიულათ მოითხოვდა ოთახში ჩემს შეშვებას.

ბოლოს და ბოლოს ჩემი ცოლიც იძულებული გახდა ბავშვის ახირებას დამორჩილებოდა და ჩემთვის კარები გაეღო.

ოთახში შესვლისას ერთი მაგრათ მომაწყევლა, ხოლო დაწოლის დროს ორ-სამ ადგილზე მიჩქმიტა კიდეც, მაგრამ ყოველივე ეს მე იობის მოთმინებით ავიტანე და... თფილ ლოგინში ჩაფლულმა თვალები დავხუჭე ტკბილი ძილის მოლოდინში

4

იმ დღიდან მოწყებილი მე ტკიბლათ აღარ მიცხოვრია. ჩემმა ცოლმა ჩემს სახლში ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთო და.. მწვავდა შეუბრალებლათ.

ლანძღვა-გინებითა და წყევლა კრულვით რომ ვერ გამტეხა, ეკონომიური ხასიათის ბლოკადა გამომიცხადა და დღიური ულუფა ისე შემიმცირა, რომ სულს ძლივს ვლაფავდი.

ბრძოლის ამ უკანასკნელმა მეთოდმა ისე მომაძულა თავი, რომ ახალ-ციხის ფრონტზე კინაღამ წავედი მოხალისეთ.

— რომ მომკლან?! ჩემდა უნებურათ დამებადა ასეთი კითხვა, როცა სამგზავროთ აბარგებულმა სახლიდან გაპარვა დავაპირე.

— მერე რის გულისათვის? ომის სასწორზე თავის დადებას ის არა სჯობია-ვსცადო ეგ რაღაც ორატორობა? შეიძლება კიდეც გამოვდგე.. და, თუ ვერ გამოვდგები, ამას ხომ ჩემი ცოლიც დაინახავს და მომეშვება. მეც გავჯიუტდი, თორემ... რომ შევრცხვე? ჯანი გავარდეს! ამდენ ჯანჯვასა და სასიკვდილოთ თავის გაწირვას განა ერთხელ სირცხვილის ჭამა არა სჯობია? ოღონდაც, რომ სჯობია!..

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

— შენ გაიმარჯვე! დინჯათ ვუთხარი ჩემს ცოლს და ამით ვაგრძნობინე, რომ მე, თანახმად მისი სურვილისა, გადავსწყვიტე ჩემი ნიჭის ცდა მჭერმეტყველების დარგში.

— ძლივს!. ნეტარების ღიმილით წარმოსთქვა მან და.. ღმერთო ჩემო, რა ტკბილი იყო ის კოცნა, რომლითაც მე მაშინ, ორი თვის გაფიცვის შემდეგ, გამაბედნიერა ჩემი ცხოვრების უბადლო თანამგზავრმა!

პირველათ სოფლის მიტინგზე გამოვედი სალაპარაკოთ. ხალხმა ტაში დამიკრა, მაგრამ მე თითონ ძალიან უკმაყოფილო დივრჩი ჩემი გამოსვლით.

— შენ გგონია, —ცუდათ ილაპარაკე? მკითხა ჩემმა ცოლმა, როცა მასაც გავუზიარე ჩემი აზრი, ჩემი, როგორც ორატორის, დამარცხების შესახებ.

— მაშ, ვუპასუხე მე, შიგა და შიგ ენის თავისუფლათ მობრუნებაც კი გამიჭირდა. ნუ თუ შენ ვერ შემნიშნე ეს?

— ეს ასეც უნდა მომხდარიყო. აქ გასაკვირი არა არის რა. შენ ხომ პირველათ გამოდი დღეს.

## სახელმწიფო თეატრი

**მიშელ დარიალ—ნანობაშვილი—ვერტერი**



**დიომიდე თოფურიძე.** დამფ. კრებ. წევრი.

რამოდენიმეჯერ, მართალია, წაიბორძიკე, მაგრამ ეგ სიმორცხვით მოგვივდა და არა უუნარობით. საერთოთ კი შენმა დღევანდელმა გამოსვლამ ნათელჰყო, რომ შენ ლაპარაკი შეგიძლია. მეტისმეტი სიმორცხვე.. მაგრამ არა უშავს: ორ-სამხელ გამოსავლის შემდეგ სირცხვილსაც საკმარისათ დაკარგავ და ჩინებული ორატორი დადგები...

— ახირებული ქალი ხარ, ჩემმა მზემ! ხომ დაინახე, რომ...

— მე დავინახე უტყუარი ნიჭი, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ძალიან მალე გაიშლება და გაიფურჩქნება!

აღარ შევლაპარაკებივარ. გულში კი გადაწყვეტით ვსთქვი: სულიც რომ ამოვხადო, დღეის შემდეგ მე ტრიბუნაზე ფეხს აღარ შევდგამ მეთქი!

6

გავიდა ათი დღე. გაზეთ №-ში დაიბეჭდა პატარა კორესპონდენცია იმ სოფლიდან, სადაც მე ვილაპარაკე. წერილში აწერილი იყო ის მიტინგი, რომელზედაც მე გამოვედი და სიტყვა წარმოვსთქვი. უცნობი რეცეზენტი ქება-დიდებით მიხსენიებდა და, სხვათაშორის, ასეთ სტრიქონებს მიძღვნიდა: „დაბალი, მაგრამ საკმაოთ წმინდა ხმა, ლამაზი წინადადებები, საკმარისი ცოდნა, საგანზე სწორი შეხედულება, მკვეთრი ლოღიკა და საღი ტემპერამენტი,—აი რითი ხიბლავს მსმენელთ ახალ-გაზრდა ორატორი... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიჭიერი ორატორი გადაჭარბებულ სიმორცხვეს იჩენს, რაც მის ერთათ-ერთ უარყოფითი თვისებას წარმოადგენს. საჭიროა ამ ნაკლის თავიდან მოცილება.

ორატორს მართებს მეტი სითამამე და გაბედულება. ვუსურვებთ ახალ-გაზრდა ორატორის ბუნებრივ ნიჭს შეუჩერებლივ ზრდასა და განვითარებას. კეთილი იყოს მისი გამოჩენა ჩვენი საორატორო ასპარეზის თვალ-საჩინო ადგილზე“.

— ეხლაც არა გჯერა? წყნარი ღიმილით მკითხა ჩემმა ცოლმა, როცა მე ამ წერილის კითხვა გავათავე და გაზეთი მაგიდაზე დავდევი.

— შენ კი გჯერა ყველაფერი ეს? შევეკითხე მე ჩემის მხრით.

— ხომ ხედავ: თეთრზე შავათ არის დაწერილი.

— ნეტავი ვინ უნდა იყოს ავტორი? თითქოს იქ ისეთი არავინა სჩანდა, რომ...

— შენ არ შეგინიშნავს, თორემ იქ ინტელიგენტებიც იყვენ.

— შეიძლება იხუმრა ვინმემ, ა?

ეეხ! რა შეუსმენელი რამა ხარ?! მე არ დამიჯერე, კორესპოდენტის გულწრფელობაში ეჭვი შეგაქვს... მაშ ვისღა დაუჯერებ, რომ შენ შეგიძლია ორატორობა, გაქვს საამისო ნიჭი და უნარი?.. გაბედულება გაკლია, და ეს არის შენი უბედურება. მეც ამას ვამბობდი, წერილის ავტორიც ამას აღნიშნავს. მოიშორე ეგ ნაკლი და... ერთი სიტყვით, მეტი გაბედულება და სითამამე, როგორც ამას გირჩევს წერილის ავტორი.

— ეგ ადვილი საქმეა, მაგრამ..

— კიდევ „მაგრამ!“. დაანებე, კაცო, ამ „მაგრამეებსა“ და „თუებს“ თავი! რათ უნდა ჩაიქრო შენი გაუბედაობით ის დიდი ნიჭი, რომლითაც შენ ასე უხვათ დაუჯილდოებიხარ ბუნებას?!.

ორ-სამხელ კიდევ გადავიკითხე წერილის ის ადგილი, სადაც ჩემს შესახებ იყო ლაპარაკი. თვალ-წინ წარმომიდგა ის მიტინგი, მომაგონდა ის წამი, როცა მე ტრიბუნაზე ავედი და ლაპარაკი დავიწყე... და ამ მოგონებამ ისე გამიტაცა, რომ მე ჩემი თავი გაორებულათ წარმოვიდგინე: ერთი მოლაპარაკეთ, მეორე მსმენელათ. მაგრამ ეგ მოლაპარაკე ეხლა სულ სხვანაირათ მეჩვენებოდა. ის ლაპარაკობდა მწყობრათ, მდაბიოთ, ყველასათვის გასაგებათ; ხან ნელა, წყნარათ, ხან კი მრისხანეთ შესძახებდა და შეყვირებდა... ხალხი სულ განაბული უსმენდა და თითოულ მის სიტყვას დიდი ინტერესითა და ხალისით იჭერდა... აი უკანასკნელი წინადადებაც დასრულდა, და ზღვა ხალხის ერთ-სულოვანმა ტაშის ცემამა და ვაშას ძახილმა შესძრა მიდამო.

გამოვერკვი.

— კიდევ ყოყმანობ? შემეკითხა ამ დროს ჩემი ცოლი, რომელიც სახეზე მომჩერებოდა და ჩემი სულის თითოულ მოძრაობას ზედ კითხულობდა.

— არა, აღარ ვყოყმანობ, ვუპასუხე მე.

— მაშ, გაუმარჯოს ორატორს! დაიძახა მან და ჩემსკენ გამოექანა.

— შენც, შენც გაგიმარჯოს, ჩემო მშვენიერო! და ვიყვირე მე... და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ.

7

რამოდენიმე თვის განმავლობაში მე ისე გავთამამდი, რომ წინინდელი გაუბედაობის კვალიც კი აღარ დარჩენილა ჩემში. ტრიბუნა ისე შემიყვარდა, რომ ეხლა უიმისოთ სიცოცხლეც კი ვერ წარმომიდგენია. მიტინგებზე სიარული და სიტყვის წარმოთქმა ბუნებრივ მოთხოვნილებათ გადამექცა. ჩემი აღდგომა მაშინ არის, როცა ჩვენს ქალაქში ან მის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში მიტინგი გაიმართება, და მე სიტყვის თქმის საშუალება მომეცემა. ხშირათ შორეულ სოფლებშიაც კი დავდივარ საჯარო კრებებზე მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენების გასაკეთებლათ... ორატორი ვარ ჩინებული, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ დასაქცევ პროვინციაში ჯეროვანათ ვერ მაფასებენ. ადგილობრივი მოწინავე პირები ალმაცერათ მიყურებენ და... ხშირათ დამცინიან კიდეც! „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“ ამბობს ანდაზა, მაგრამ მარტო ამ ანდაზითაც არ აიხსნება ზემო აღნიშნული მოვლენა. აქ ინტრიგა და შური უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე „შინაური მღვდლობა“. მაგრამ მე მაინც არ ვიტეხ გულს, სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ „შუბი ხალთაში არ დაიმალება“, და ბოლოს და ბოლოს მეც სათანადო ადგილი დამეთმობა ჩვენი სამშობლოს უახლეს ისტორიაში...

ჩემმა ცოლმა უკვე მიიღო თანხმობის ბარათი ბატონ იოსებ იმედაშვილისაგან, რომელსაც ამას წინეთ წერილობითი სთხოვა ჩემი სურათისა და მოკლე ბიოგრაფიის მოთავსება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“. პატივცემულ რედაქტორს საპატიო ადგილი დაუთმია ჩემთვის აგრეთვე მის მიერ განზრახულ „გამოჩენილ ქართველთა ლექსიკონში“. როგორც ხედავთ, ჩემი მომავალი სავსებით უზრუნველ-ყოფილია, ჩემი დიდების მზე არც თუ ისე დაიგვიანებს ამოსვლას, და მის ბრწყინვალებას ოდნავაც ვერ გააფერმკრთალებს პროვინციის ჭაობის უსუსური ნისლი.

ჩემი ცოლიც დარწმუნებულია ამაში, და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს... მე კიდევ მისდამი ვგრძნობ უაღრეს სიყვარულს და დიდ პატივსაც ვსცემ მას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე გავიგე, რომ ის წერილი, რომლის გავლენითაც მე ასე თამამათ გავექანე საორატორო შარა გზაზე, მისი დაწერილი ყოფილა..

D

# ახალი პოეზიის ნიმუშები.

## ავადმყოფი.

მქლე სარეცელზე დაინარცხა ჩემი სხეული,
და უწესრიგოდ ვარ ლოგინში მიყრილ-მოყრილი,
ზანტად ეცემა ძირს ხელები ზე არხეული,
მახრჩობს ოფლის ზღვა ტანჯვისაგან უხვად დაღვრილი.

---

ვარ მიჯაჭვული ერთ ადგილზე მკაცრი სასჯელით,
რადგანც ვეურჩე ჩემს მბრძანებელს და შევებრძოლე,
მჩხვლეტავს გვერდებში, ვით ქალი მატყლს, ბასრ საჩეჩელით
და კბილთა ღრჭენით ზიზღს უცხადებ სენს, შენაბრძოლი.

---

თლად წარმეკვეთა იმედის ფრთა, ვარ მოქანცული,
სიცხე ჩამიშრეტს მალე თვალებს ქუთუთოებში,
ვბორგავ და ვშფოთავ, ზეზე ვდგები ცეცხლ მოდებული...
გამიშვით გარედ... ვიწვი... ვყვირი... გამიშვით მთებში.

---

ვილაცამ თავს ქვეშ რაღაც ცივი შამომიგორა,
და თავის კოსრო გამიგრილდა და მივიბნიდე,
ჩავთვლიმე ზანტად, და სიზმრებმა მთებს გამაშორა,
სადღაც ვიხილე უცხო მთები და ცისა კიდე.

---

გამოვიღვიძე... მოთენთილი თვალებს ვერ ვახელ...
გამქრალ დღეების სიამენი მომაგონდება,
მე იმათ მიძღვნეს ეს წამება, მაგრამ არ ვამხ(ე)ლ,
და არც კი ვნანობ... გული ამით არ მილონდება ..

---

მრუში სიცოცხლე ვერ მაშინებს ტანჯვა წამებით,
წუთის სიამეს მე შევსწირავ მრავალ დღის ტანჯვას
მე არ დავზოგავ ტკივილებით გრეხას და მანქვას,
ოღონდ ვიცხოვრო დრო ჩაგდებით ტკბილი წამებით.

---

ვიყო ლაჩარი ჯანისათვის თუ ავიკრძალო
წუთებზე ასხმულ სიტკბოების წარმავალობა,
არ მაქვს სხეულის სიბრალული, ან რად ვეკრძალო?
განცხრომის შემდეგ მიყვარს ტანჯვის ბრჭყალში გალობა!

---

მქლე სარეცელზე მე მრავალჯერ დავინარცხები
საზარი სენი მწამს მრავალჯერმე დამიმონებს,
მაგრამ ვერ მომდრეკს ჯიუტს,—ამაყს ყოფნის მარცხები,
რა წარმტაცია სიტკბო, ტანჯვა რომ მოგაგონებს.

**ილლაუ სი-ძე.**



# ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციაზე.

ხელში ზეთის ხილის შტო,
გულში???